

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია პრობლემები, რომლებიც დაბრკოლებებს უქმნის საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღებას და რომელთა აღმოსაფხვრელად მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმა უნდა აისახოს „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონშიც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმების ასახვა „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ვებგვერდზე უნდა განთავსდეს მისი საჯარო რეესტრი, ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გარდა აქტის იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას), ბიუჯეტი და მისი შესრულების წლიური და კვარტალური ანგარიშები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯის გაწევის საჭიროებას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება შეამცირებს იმ პირთა პირდაპირ (დაწესებულებაში მისვლა, ასლის გადაღება) და ირიბ (დროის ეკონომია) ხარჯს, ვისაც სჭირდება საჯარო ინფორმაციის მიღება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება ან მათი განაკვეთების განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

.....;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

.....;

დ.გ) კანონპროექტის ავტორები

ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე, გიორგი ჩხეიძე, ელისო ჩაფიძე, ნინო დანელია;

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

ქრისტინან-დემოკრატები